186/2
1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარეთ ა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

საქართველოს სახელმწიფო
ეროვნული
საჯარო ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1927 წ. აპრილის 15 № 1 186/1927/2 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

1. დადგენილება № 1 ც. ა. კ. „ქ. ტფილისისათვის საბჭოთა არჩევნების არსებული წესის ზოგიერთი გამონაკლისის შემოღების შესახებ“.

2. დადგენილება № 2 ც. ა. კ. „საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა, ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმებისა და ამ ფორმების მიხედვით მასალის წარდგენისათვის ვადების დაწესების შესახებ.“

3. დადგენილება № 3 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.“

4. დადგენილება № 4 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „საუწყებათაშორისო კომისიების დაარსების და მოქმედების წესის შესახებ“.

5. დადგენილება № 5 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის კოდექსისათვის 139¹ მუხ. დამატების შესახებ“.

6. დადგენილება № 6 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „იმ საზოგადოებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესისა, რომლებიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ, და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ“.

7. დადგენილება № 7 ც. ა. კ. „საქართველოს ს. ს. რ. ქალექების საბჭოების შესახებ“.

8. დადგენილება № 8 ც. ა. კ. „ქალ. ტფილისისათვის საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ“.

774.

947

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.

9. ცირკულარი ც. ა. კ. „მომავალ საბჭოთა არჩევნებში უღარიბესი გლეხების და სოფლის მუშა-მოჯამაგირეების ჩაბმის შესახებ“.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

10. დადგენილება ს. კ. ს. „უნივერსიტეტებისა, ინსტიტუტებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთათვის საპრაქტიკო ადგილებისა, ხოლო აღნიშნულ სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთათვის სტაჟის გასასვლელი ადგილების მიმცემი საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ“.

11. დადგენილება ს. კ. ს. „იმ კანონების შესახებ, რომელთაც ძალა ეკარგებათ ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა საჯარო ანგარიშგების წესები“-ს სამოქმედოდ შემოღების გამო“.

12. დადგენილება ს. კ. ს. „ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ“.

13. დადგენილება ს. კ. ს. „უწყებათა გამომცემლობის შესახებ“.

14. დადგენილება ს. კ. ს. „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ცალობითი ფასების შესამცირებლად მისაღებ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მეთვალყურეობის დაკისრების შესახებ“.

15. დადგენილება ს. კ. ს. „ქალაქების, კურორტებისა და ქალაქების ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, შენობებისა და ნაგებობისა, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შიდგენისათვის კონკურსის გამოცხადების წესების დამტკიცების შესახებ“.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

1. დადგენილება № 1 ც. ა. კ-

ქ. ტფილისისათვის საბჭოთა არჩევნების არსებული წესის ზოგიერთი გამონაკლისის შემოღების შესახებ.

რადგანაც ქალ. ტფილისში ტეხნიკურად შეუძლებელია ყველა იმ მოთხოვნილების შესრულება, რაც საბჭოთა არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენასა და აგრეთვე ამ ამომრჩეველთათვის სახელობითი უწყებების დაგზავნას შეეხება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის 1926 წ. დეკემბრის 22-ს დამტკიცებულ ინსტრუქციით დადგენილი წესის გამონაკლისად ქალაქ ტფილისისათვის მიღებული იქნეს შემდეგი:

2. ქალ. ტფილისში შედგენილი არ უნდა იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიები.

3. ქალ. ტფილისის სარაიონო საარჩევნო კომისიებს შეუძლიანთ იმ პირთა სიების შედგენის დროს, რომელნიც მოკლებულ არიან საარჩევნო უფლებას, გამოიყენონ, დოკუმენტალური ხასიათის ცნობების ნაცვლად, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, ის ცნობები, რასაც ისინი მიიღებენ დაინტერესებული პირისა და მოწმეების დაკითხვით.

4. სახელობითი საარჩევნო უწყებები საარჩევნო კრების დანიშვნის შესახებ ქ. ტფილისში გაეგზავნება მხოლოდ იმ ამომრჩეველთ, რომელნიც არ შედიან საწარმოთა და დაწესებულებებში და შეკავშირებულ არ არიან პროფესიონალური ორგანიზაციებათ.

5. ის ამომრჩეველნი, რომელნიც შედიან საწარმოთა და დაწესებულებებში ან შეკავშირებულ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებათ, არჩევნებში მონაწილეობისათვის მიიღებენ თავიანთ საწარმოსა და დაწესებულებებისაგან ან პროფესიონალური კავშირისაგან განსაკუთრებულ ბილეთებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 11.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს № 1376 1927 წ. იანვრის 12.

---

2. დადგენილება № 2 ც. ა. კ. პრეზ.

საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღნუსხვის ფორმებისა, ამომრჩეველთა აღნუსხვის სიების ფორმებისა და ამ ფორმების მიხედვით მასალის წარდგენისათვის ვადების დაწესების შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის ნოემბრის 19-ს თარიღით და ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1926 წ. დეკემბრის 21 თარიღით საბჭოთა ყრილობების და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მსვლელობისა და შედეგების აღრიცხვის ფორმებისა და ამომრჩეველთა აღსარიცხავი სიების ფორმების შესახებ გამოცემულ დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილებათა თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საკალდებულოდ იქნეს ცნობილი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საარჩევნო კამპანიის მსვლელობის და შედეგების აღსარიცხავად საარჩევნო საქმის წარმოების, სტატისტიკური და საინფორმაციო ანგარიშის შემდეგი ფორმები: ამომრჩეველთა სახელობითი სიები ქალაქისა და სოფლისათვის, სახელობითი სიები საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთათვის; საარჩევნო კრებების ოქმები ქალაქისა და სოფლისათვის, სახელობითი სიები სათემო (სასოფლო) საბჭოებსა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეულთათვის; სახელობითი სიები საქალაქო საბჭოებისა, მათი პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებად არჩეულთათვის; სახელობითი სიები აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყრილობებისა, სამაზრო ყრილობებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების წევრთათვის; სქემა საინფორმაციო მოხსენებისა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ; ინსტრუქცია არჩევნების გარშემო სასწრაფო სადეპეშო ცნობების მიღება-გადაგზავნის შესახებ; შეჯუმლილი ცხრილი სასოფლო რაიონებში წარმოებული არჩევნებისა ხელისუფლების სათემო (სასოფლო) ორგანოების შედგენილობისა, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შესახებ; შეჯუმლილი ცხრილი საქალაქო საბჭოების არჩევნებისა და ხელისუფლების საქალაქო ორგანოების შედგენილობის შესახებ.

2. საარჩევნო უფლების მქონე და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა სიების საშუალებით სწარმოებს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოების არჩევნების და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად (თავები I—III) სათანადო ფორმების მიხედვით.

შენიშვნა. 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული საარჩევნო ანგარიშის ფორმების შევსების დროს რაიმე შემოკლება ან ერთი ცნობების სხვა ცნობებით შეცვლა არ შეიძლება.

3. არჩევნების ანგარიშის დამუშავება და შედგენა დაევალება აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს—კუთვნილებისამებრ.

4. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები ანგარიშს საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და მისი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგების შესახებ წარუდგენენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართით: ტფილისი, ლუნაჩარსკის ქუჩა № 2, ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) შემდეგ ვადებზე:

ა) წერილობითი საინფორმაციო მოხსენებებს არჩევნების ორგანიზაციულ-ტეხნიკური მომზადების შესახებ, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების საინფორმაციო მოხსენების სქემის მიხედვით,—არა უგვიანეს ა. წ. იანვრის 30-სა (ფორმა № 19);

ბ) საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის სადეპეშო ჯუმლს, თანახმად ინსტრუქციისა არჩევნების გარშემო სასწრაფო სადეპეშო ცნობების მიღება-გადაგზავნის შესახებ—ა. წ. იანვრის 25-დან ყოველდღიურად;

გ) წერილობითი საინფორმაციო მოხსენებას საანგარიშო კამპანიისა და სათემო (სასოფლო) და საქალაქო საბჭოების არჩევნების თაობაზე, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ საინფორმაციო მოხსენების სქემის მიხედვით—არა უგვიანეს ა. წ. მარტის პირველისა (ფორმა № 19);

დ) არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობისა და ახლად არჩეული საბჭოების მიხედვით და ხელისუფლების სათემო (სასოფლო) და საქალაქო ორგანოების შედგენილობის შეჯუმლილ ცხრილებს სათანადო მასალითურთ 14, 15, 16 და 17 №-ის ფორმების მიხედვით—ა. წ. მარტის 5-დან მარტის 10-მდე;

ე) სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობის შეჯუმლილ ცხრილებს სათანადო მასალითურთ 15 და 17 №-ის ფორმების მიხედვით—არა უგვიანეს ა. წ. მარტის 18-სა;

ვ) წერილობითი საინფორმაციო მოხსენებას სათემო (სასოფლო) და საქალაქო საბჭოების არჩევნების, სამაზრო ყრილობებისა და ავტონომიურ ერთეულთა ყრილობების მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის შედეგების თაობაზე, საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ საინფორმაციო მოხსენების სქემის მიხედვით—არა უგვიანეს ა. წ. მარტის 18-სა (ფორმა № 19).

5. ამა დადგენილების გამოცემით გაუქმებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ყველა წინად გამოცემული დადგენილება საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო ანგარიშების შედგენის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე-1376 №-ში 1927 წ. იანვრის 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დადგენილება № 3 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სოფლის მოსახლეობას უფლება აქვს საკუთარი სახსარით, თვითდაბეგვრის საშუალებით, დაიკმაყოფილოს თავისი ადგილობრივი საჭიროება კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო სფეროში, როგორიც არის, მაგალითად, გზათა მშენებლობა, სკოლების აგება, ჯანმრთელობა, წყალსადენის გაყვანა და სხვ.

2. აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად იმ სოფლისა ან სოფლების ჯგუფებისა ან და თემის მოქალაქეთა საერთო კრება, რომლის მცხოვრებნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილებით, გამოიტანს დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ.

3. მოქალაქეთა საერთო კრება თავის დადგენილებაში თვითდაბეგვრის შესახებ აღნიშნავს, რა სახსარია საჭირო განზრახულ ღონისძიების განსახორციელებლად, რა სახისა უნდა იყოს ეს სახსარი—ფულადი თუ ნატურალური, რა ანგარიშით უნდა იქნეს გადატანილი ნატურალური სახსარი ფულზე, როგორ უნდა გაიწეროს საჭირო თანხა ცალკე მოქალაქეებზედ და სხვ., გარდა ამისა აღნიშნავს აგრეთვე, უკეთუ საჭიროდ სცნობს, რომელი მოქალაქე ან მოქალაქეთა რომელი კატეგორია განთავისუფლდეს განზრახულ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობისაგან.

შენიშვნა. განზრახული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო სახსრის არჩევის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს ნატურალურ სახსარს.

4. მოქალაქეთა საერთო კრება თვითდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად მოხდება თემის საბჭოებისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ გამოცემულ დებულებაში გათვალისწინებული წესისამებრ (თავი III), მხოლოდ იმ განსხვავებით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების შემდეგ მუხლებში.

5. მოქალაქეთა საერთო კრებას მოიწვევს თემის საბჭო ან თემის აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეთა განცხადების გამო ან საკუთარი თაოსნობით; საერთო კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ორ-მესამედზე არა ნაკლები რიცხვი.

6. საერთო კრება დადგენილებას გამოიტანს ხმის მარტივი უმეტესობით. საერთო კრების დადგენილება სავალდებულოა სათანადო სოფლისა, სოფლების ჯგუფისა ან თემის ყველა მცხოვრებლებისათვის (მუხ. 2).

7. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა წარუდგინოს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად და აღსრულებაში მოიყვანება მხოლოდ დამტკიცების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. თვითდაბეგვრის განსახორციელებლად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას იმდენი წევრისა და კანდიდატისაგან, რამდენსაც კრება საჭიროდ დაინახავს.

კომისიის შედგენილობაში უნდა შევიდეს ადგილობრივი თემაღმასკომის ერთ-ერთი წევრი, რომელიც თავმჯდომარეობს კომისიას.

9. წინა მუხლში აღნიშნულ კომისიასთან ერთად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას სამი წევრისა და ორი კანდიდატის შედგენილობით.

10. უკეთუ მოქალაქეთა საერთო კრება, ამა თუ იმ მოსაზრებით, თვით არ გაანაწილებს საჭირო სახსარს მოქალაქეთა შორის, ამას მოახდენს მე-8 მუხლში აღნიშნული განსაკუთრებული კომისია და განაწილების პროექტს წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად. ნატურალური სახსრის განაწილების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ სახსრის ფულადი ეკვივალენტი. ყოველ მოქალაქეს შეუძლიან ნატურალური გადასახადის ნაცვლად გადაიხადოს შესაფერი თანხა.

11. დამტკიცებული განაწილების თანახმად კომისია აჭკრეფს განაწილებულ ნატურალურ სახსარს და ფულს და განახორციელებს იმ ღონისძიებას, რისთვისაც თვითდაბეგვრა იყო შემოღებული.

12. საერთო კრების დადგენილებით შეკრეფილი სახსარი დაიხარჯება მხოლოდ იმ მიზნისთვის, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული დადგენილებით.

13. საერთო ხელმძღვანელობა კომისიის მუშაობის და მეთვალყურეობა შეკრეფილი სახსრის მიზანშეწონილად დახარჯვისათვის დაეკისრება თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

14. განსაკუთრებული კომისია ვალდებულია განზრახული მუშაობის დამთავრების შემდეგ, აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, ამ მუშაობის დროსაც წარუდგინოს თვით კომისიისა ან თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწვეულ მოქალაქეთა საერთო კრებას აკრეფილი სახსრის დახარჯვისა და შესრულებული მუშაობის ანგარიში; ამავე საკითხების გამო თავის დასკვნას სარევიზიო კომისია წარუდგენს საერთო კრებას.

15. უკეთუ ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი იქნება განზრახული სამუშაოს შესრულება, მოქალაქეთა საერთო კრება, განსაკუთრებული კომისიის მოხსენების თანახმად, დაადგენს შეგროვილი სახსარი დაებრუნოს მოქალაქეთ ან გადაიდოს სხვა რამ მიზნისათვის.

16. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემენ სათანადო ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე-1384 №-ში 1927 წ. იანვრის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დადგენილება №4 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საუწყებათაშორისო კომისიების დაარსების და მოქმედების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საუწყებათაშორისო კომისია მოეწყობა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, სახალხო კომისართა საბჭოსთან, სახალხო კომისარიატებთან და სხვა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით და აგრეთვე სახკომსაბჭოს დადგენილებით, უკეთუ ეს კომისია მოეწყობა ამ უკანასკნელთან ან სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებასთან.

შენიშვნა. წესი ესე არა ვრცელდება იმ საუწყებათაშორისო კოლეგიალურ ორგანოზე, რომელიც განსაკუთრებული კანონდებულებით დაარსდება.

2. საუწყებათაშორისო კომისიის მოწყობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ან კომისიის პერსონალური შედგენილობა, ან ის უწყებები, რომელთა წარმომადგენლების მონაწილეობითაც მოეწყობა საუწყებათაშორისო კომისია.

შენიშვნა. უკეთუ საუწყებათაშორისო კომისიის წევრები პერსონალურად იქნებიან დანიშნულნი, დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს ის პირი, რომელსაც დაეკისრება კომისიის თავმჯდომარეობა; ხოლო უკეთუ კომისია უწყებათა წარმომადგენლებისაგან არის შედგენილი, კომისიას თავმჯდომარეობს იმ უწყებისა ან დაწესებულების წარმომადგენელი, რომელთანაც კომისია მოეწყობა.

3. საუწყებათაშორისო კომისიისათვის დაკისრებული საქმის ზედმიწევნით და თავის დროზე შესასრულებლად წარმოებული მუშაობის გამო პასუხს აგებს: უკეთუ კომისიის შედგენილობა პერსონალურად არის განსაზღვრული—კომისიის თავმჯდომარე, ხოლო უკეთუ კომისია უწყებათა წარმომადგენელთაგან არის შედგენილი—ის უწყება, რომელთანაც დაარსებულია საუწყებათაშორისო კომისია.

4. საუწყებათაშორისო კომისიის წევრი უნდა გამოხატავდეს კომისიაში იმ უწყების ოფიციალურ აზრს, რომლის წარმომადგენელიც იგია.

5. საუწყებათაშორისო კომისიის წევრი კომისიის სხდომებზე დაუსწრებლობისა და დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს დისციპლინარული და სისხლის სამართლის წესით.

6. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ამა დადგენილების საფუძველზე დაწვრილებითი წესები საუწყებათაშორისო კომისიების მუშაობის მოსაწესრიგებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 იანვრის 15.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დადგენილება № 5 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 139¹ მუხ. დამატების შე ახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ს დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 139¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

139¹ მუხ. მდგმურის მიერ სახლის პატრონის ნებადაურთველად სხვა პირისათვის ბინის ან ოთახის გადაცემა ქირით ან, საერთოდ, რაიმე ქონებრივი გამორჩენის მიზნით გამოიწვევს ჯარიმას არა უმეტეს ვიდრე შეპირებული ქირისა ან ქონებრივი გამორჩენის რაოდენობისა ერთი-ხუთად, ხოლო უკეთუ შეუძლებელი იქნება ამ ქირისა თუ ქონებრივი გამორჩენის რაოდენობის გამორკვევა,—ჯარიმას არა უმეტეს 500 მანეთისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 15.
ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა-"ს მე-1393 №-ში 1927 წ. თებერვლის 2.

---

6. დადგენილება № 6 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ საზოგადოებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესისა, რომლებიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ საზოგადოებებმა და მათმა შენაერთებმა, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავიანთი მოქმედების განსახორციელებლად, სათანადოდ უნდა დაიმტკიცონ წესდებანი და რეგისტრაციაში გაიარონ ქვემოჩამოთვლილ მუხლებში აღნიშნული წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმ საზოგადოებად და შენაერთად, რომელიც მოგების გამორჩენას არ მისდევს, ჩაითვლება ისეთი საზოგადოება და შენაერთი, რომლის წესდებითაც დასახული არ არის მოგების გამორჩენა ან თავისი წევრების ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თუნდაც წესდებით გათვალისწინებული იყოს უწყებული შემოსავლის მიღება ისეთი სახსარის სახით, რაც საზოგადოებისა თუ შენაერთის ძირითად მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს.

შენიშვნა. საზოგადოებად იგულისხმება აგრეთვე ასოციაცია, კავშირი და სხვა ამისთანა ორგანიზაცია.

3. საზოგადოებებისა და მათი შენაერთის წესდება, რომლითაც გათვალისწინებულია მათი მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ან საქართველოს სსრ ერთ ან რამდენიმე მაზრის ტერიტორიაზე, წარედგინება დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებას 4 ცალად, რაც ხელმოწერილ უნდა იყოს დამფუძნებლების მიერ. წესდებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება საზოგადოების თუ შენაერთის დამტკიცებისა და რეგისტრაციის შესახებ და შემდეგი დანართები: ა) დამფუძნებელთა ანკეტები 4 ცალად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმით; დამფუძნებელთა რიცხვი 7 კაცზე ნაკლები არ შეიძლება იყვეს და ბ) დამფუძნებელთა კრების ოქმი 4 ცალად.

4. წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) საზოგადოების (ასოციაციის, კავშირის და სხვ.) ან მათი შენაერთის სრული სახელწოდება, მისი მიზანი, მოქმედების რაიონი და ფორმა;

ბ) კონკრეტული ფუნქციები და უფლებანი კერძო-უფლებრივ სფეროში;

გ) საზოგადოების თუ შენაერთის შედგენილობა, საზოგადოების თუ შენაერთის წევრად შესვლისა და გამოსვლის წესი.

შენიშვნა. წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ სავალდებულოა წელიწადში ერთხელ მაინც შინაგნ საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებაში საზოგაოების წევრთა სიის 4 ცალად წარდგენა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმით.

დ) საზოგადოების თუ შენაერთის სახსარი, საწევრო გადასახადის რაოდენობა და გადახდის წესი;

ე) საერთო კრებების მოწვევის ვადები და მათი გამგებლობის საგნები;

ვ) აღმასრულებელ ორგანოების და ფილიალების შედგენილობა და ორგანიზაცია და მათი სამყოფელი ადგილი.

შენიშვნა. წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ სავალდებულოა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებაში ცნობების წარდგენა არჩეული გამგეობის შედგენილობისა და მასში მომხდარი ყველა ცვლილებების შესახებ—4 ცალად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმით.

ზ) საზოგადოებისა თუ შენაერთის ანგარიშგებისა და სამეურნეო ნაწილის გამგებლობის წესი;

თ) წესდების შეცვლის წესი;

ი) საზოგადოებისა თუ შენაერთის ლიკვიდაციის წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებას უფლება არა აქვს უარი სთქვას წესდების პროექტის დასამტკიცებლად მიღებაზე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ორი თვის ვადის განმავლობაში დღიდან წესდების წარდგენისა, აცნობებს დამფუძნებელთ, რომ წესდება დამტკიცებულია, ან უარი ეთქვათ დამკიცებაზე, ან რომ საჭიროა წესდებაში შეტანილ იქნეს ესა თუ ის ცვლილება ან დამატება.

6. წესდება დამტკიცებულ არ უნდა იქნეს: ა) უკეთუ იგი, საზოგადოებისა თუ შენართის მოქმედების მიზნებისა და მეთოდების მიხედვით, ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ კანონებსა და კანონისამებრ მომქმედ აქტებს; ბ) უკეთუ მიზანშეუწონლად იქნება ცნობილი საზოგადოებისა თუ შენაერთის დაარსება.

7. საზოგადოების თუ შენაერთის წესდების შეცვლა ან დამატება მოხდება ამა დადგენილების მე-3 მუხ. გათვალიწინებული წესისამებრ.

8. უკეთუ დასამტკიცებელია ისეთი საზოგადოებისა თუ შენაერთის წესდება, რომლის მოქმედებაც სხვა უწყების საგამგებლო საკითხებს ეხება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაუგზავნის ამ წესდებას სათანადო სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ დაწესებულებას წინასწარი დასკვნისათვის.

9. საზოგადოების თუ შენაერთის წესდების დამტკიცების შემდეგ მას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებაში.

შენიშვნა 1. საერთო-საკავშირო, ამიერკავკასიის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების საზოგადოებათა განყოფილებანი, თანაგანყოფილებანი, რწმუნებულნი და სხვა ფილიალები, რომელნიც თავიანთ მოქმედებას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განახორციელებენ, მოვალენი არიან რეგისტრაცია გაიკეთონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებაში, რისთვისაც უნდა წარადგინონ სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული წესდებანი და ამა დადგენილების მე-3 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები.

შენიშვნა 2. წინა შენიშვნაში დასახელებულ ფილიალებზე გავრცელდება ამა დადგენილების მე-4 მუხ. „გ“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნული წესები.

10. დადგენილება საზოგადოებისა თუ შენაერთის დამტკიცებისა და რეგისტრაციის შესახებ, ხოლო სათანადო შემთხვევაში—განყოფილებისა, თანაგანყოფილებისა და სხვ. რეგისტრაციის შესახებ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს გაზეთ „კომუნისტში“ რეგისტრაციაქმნილ ორგანიზაციის ხარჯით.

11. რეგისტრაციის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებას თუ შენაერთს, ხოლო სათანადო შემთხვევაში—განყოფილებას, თანაგანყოფილებას და სხვ. უფლება აქვს შეუდგეს წესდებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელებას.

12. საზოგადოებისა თუ შენაერთის გამგეობა მოვალეა შეადგინოს ხოლმე ყოველწლივ საზოგადოებისა თუ შენაერთის მოქმედების ანგარიში და წარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო განყოფილებას.

13. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება მეთვალყურეობა გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ საზოგადოებისა, შენაერთისა, მათი განყოფილებისა, თანაგანყოფილებისა და ფილიალების მოქმედების კანონიერებას. კერძოდ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს რევიზია გაუკეთოს მათ ფულად და სამეურნეო ოპერაციებს იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება ეს ოპერაციები დამტკიცებულ წესდებას, კანონებს და კანონისამებრ მომქმედ აქტებს.

14. უკეთუ საზოგადოებისა ან შენაერთის მოქმედებაში გამოაშკარავებულ იქნება ამა დადგენილების მე-6 მუხ. აღნიშნული ნიშნები, შინაგან საქმეთა სახალო კომისარიატი გამოიტანს დადგენილებას საზოგადოებისა თუ შენაერთის დახურვისა და ლიკვიდაციის შესახებ.

15. უკეთუ საზოგადოება თუ შენაერთი გზას აუქცევს წესდებას, ხოლო მის მოქმედებაში არ აღმოჩნდება ამა დადგენილების მე-6 მუხ. აღნიშნული ნიშნები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ვიდრე საკითხს აღძრავდეს საზოგადოების ანუ შენაერთის იძულებით დახურვის შესახებ, წინადადებას მისცემს მას მიიღოს დანიშნული ვადის განმავლობაში ღონისძიება ჩადენილ დარღვევათა თავიდან ასაცილებლად. უკეთუ ეს წინადადება შესრულებულ არ იქნება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დაადგენს დაიხუროს საზოგადოება თუ შენაერთი.

16. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის, აგრეთვე შეიმუშაოს ტიპიური წესდებანი იმ საზოგადოებათა და შენაერთთათვის, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ.

17. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის ივლისის 7-ს დადგენილება „საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 15.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დადგენილება № 7 ც. ა. კ. პრეზ.

საქართველოს სსრ ქალაქების საბჭოების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 67 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1927 წლის საბჭოთა არჩევნების დღიდან მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქებში მოეწყოს შემდეგ მუხლებში აღნიშნულ ზოგად საფუძველზე.

2. დეპუტატთა საბჭოები ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, ჭიათურაში და გორში თავიანთი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის და საქალაქო მეურნეობის გამგებლობისათვის ამოირჩევენ თავმჯდომარესა და პრეზიდიუმს რიცხვით არა უმეტეს 25 კაცისა—ქალაქ ტფილისში და არა უმეტეს 11 კაცისა—დანარჩენ ქალაქებში.

3. ტფილისისა, ბათომისა და სოხუმის ქალაქის საბჭოები განახორციელებენ თავიანთ ღონისძიებათ, კუთვნილებისამებრ, ტფილისისა, ბათომისა და სოხუმის სამაზრო საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა მეშვეობით. ამასთანავე დაასახელებენ განყოფილებათა გამგეებს და წარუდგენენ დასამტკიცებლად სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს.

4. ქუთაისისა, ჭიათურისა და გორის ქალაქის საბჭოების მუშაობის ტეხნიკური აღსრულება დაეკისრება, კუთვნილებისამებრ, ქუთაისისა, შორაპნისა და გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საათანადო განყოფილებებს, რომლებშიაც მოეწყობა განსაკუთრებული ნაწილები საქალაქო საქმეების წარმოებისათვის. აღნიშნული განყოფილებები შეადგენენ ქალაქისათვის ცალკე სამეურნეო გეგმას და ხარჯთაღრიცხვას, რაც, როგორც ნაწილი, ქალაქის ბიუჯეტში შევა.

საქალაქო საქმეებისათვის გამოყოფილი ნაწილების გასაძღოლად ქუთაისისა, ჭიათურისა და გორის ქალაქის საბჭოები დანიშნავენ გამგეებს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. ქალაქ ფოთში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში მოეწყობა ქალაქის საბჭოები, რომლებიც აირჩევენ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს: 15 წევრის შედგენილობით ქ. ფოთში და 7 წევრზე არა უმეტესი შედგენილობით—ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში. აღნიშნული ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტები მიმდინარე მუშაობისათვის გამოჰყოფენ თავის შედგენილობიდან პრეზიდიუმს 7 კაცისაგან—ქალაქ ფოთში და სამ-სამი კაცისაგან—დანარჩენ ქალაქებში.

6. ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან ქალაქის მეურნეობის გამგებლობისათვის მოეწყობა ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება.

7. სამაზრო ქალაქ თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ლიუქსემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგში, ახალქალაქში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში და ონში და დაბა ცაგერში, აგრეთვე ქალაქ შაუმიანში, ზესტაფონში და ხონში მოეწყობა სათემო საბჭოები სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების საფუძველზე.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ქალაქები, უკეთუ სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მიზანშეწონილად სცნობს, აირჩევენ სათემო საბჭოებს ახლო მდებარე სოფლებთან ერთად; სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საამისო დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

8. სათემო საბჭოს პრეზიდიუმი ქალაქ თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ლიუქსემბურგში, ახალქალაქში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში და ონში, აგრეთვე დაბა ცაგერში თავისი მუშაობისათვის გამოიყენებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა ტეხნიკურ აპარატს.

9. ქალაქ შაუმიანის, ზესტაფონის და ხონის სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდება ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება ქალაქის მეურნეობის გაგებლობისათვის.

10. ქალაქის საბჭო აირჩევა იმ ანგარიშით, რომ 1 დეპუტატი მოდიოდეს: ტფილისში—200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—150 ამომრჩეველზე, ბათომში—100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ჭიათურაში, გორში, ფოთში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში—50 ამომრჩეველზე.

11. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წლის ივლისის 17-ს დამტკიცებული დებულება სამაზრო ქალაქების საბჭოების შესახებ გავრცელებულ იქნეს ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ მომენტიდან ამა დადგენილების მე-2 და 5 მუხ. ჩამოთვლილი ქალაქების საქალაქო საბჭოებზე.

ამავე მომენტიდან გაუქმებულ იქნეს სამაზრო ქალაქების საბჭოების დებულების 38 და 41 მუხლი.

12. შემუშავებულ იქნეს ამა დადგენილების საფუძველზე ახალი დებულება ქალაქების საბჭოების შესახებ, რომელიც წარედგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უახლოეს სესიას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე 1389 №-ში 1927 წ. იანვრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დადგენილება № 8 ც. ა. კ. პრეზ.

ქალ. ტფილისისათვის საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, 1926 წლის დეკემბრის 22-ს დამტკიცებული საარჩევნო ინსტრუქციის 53 მუხ. შესაცვლელად და დასამატებლად, ადგენს:

1. ტფილისის ქალაქის საბჭოს ასარჩევად 1927 წელს დაწესებულ იქნეს ქალ. ტფილისისათვის შემდეგი საარჩევნო ნორმები:

ა) მუშებისათვის—1 დეპუტატი 35—200 ამომრჩეველზე;

ბ) მოსამსახურეებისათვის—1 დეპუტატი 200 ამომრჩეველზე;

გ) პროფესიონალური კავშირების არა-წევრთათვის 1 დეპუტატი იმ 200 ამომრჩეველზე, რომელნიც საარჩევნო კრებაზე გამოცხადდებიან.

2. ქალაქ ტფილისში მუშათა საარჩევნო კრებას მიეცეს უფლება აირჩიოს კიდევ ერთი დეპუტატი იმ შემთხვევაში, უკეთუ ამომრჩეველთა რიცხვი 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ ნორმას 35-ტით ან მეტი რაოდენობით აღემატება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე-1388 №-ში 1927 წ. იანვრის 27.

---

9. ცირკულარი ც. ა. კ. პრეზ.

მოკავშირე და ავტონომიურ ერთეულების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და ფოთის აღმასრულებელ კომიტეტს

მომავალ საბჭოთა არჩევნებში ულარიბესი გლეხობისა და სოფლის მუშა-მოჯამაგირეების ჩაბმის ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც მიმდინარე საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს ფართო მშრომელთა მასებისა, განსაკუთრებით კი სოფლის პროლეტარიატისა (მუშა-მოჯამაგირეებისა და მწყემსების) ჩაბმა ახალი საბჭოების არჩევნების საქმეში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მიაქცევს ადგილობრივ ორგანოთა (აღმასკომებისა, საარჩევნო კომისიებისა და სხვ.) განსაკუთრებულ ყურადღებას საარჩევნო კამპანიის ამ მხარეს და წინადადებას აძლევს მათ მიიღონ საჭირო ღონისძიება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ყველა ამომრჩეველს, რომელიც-კი სოფლად დაქირავებით მუშაობს, მიეცეს ფაქტიური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს როგორც წინასწარ, არჩევნების მოსამზადებელ, კრებაში, ისე საარჩევნო კრებაში. ამისათვის აღნიშნულმა ორგანოებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ძირითად საბჭოთა ორგანოებს და მოსახლეობას, რომ შრომის კანონთა კოდექსის ძალით (მუხ. 161) დამქირავებელს ნება არა აქვს დააბრკოლოს მუშა-მოჯამაგირე მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა კრებაში, როდესაც ეს კრება სამუშაო დროის განმავლობაში იმართება და საბჭოთა დეპუტატების არჩევისათვის არის მოწვეული; დამქირავებელი ვალდებულია გაანთავისუფლოს ამ მიზნით მუშაობისაგან მუშა-მოჯამაგირე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ფუნქციას ასრულებს. დამქირავებლის მიერ ამ მოვალეობის დარღვევა ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სათანადო სოციალური დაცვის ღონისძიებას გამოიწვევს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. იანვრის 17.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე-1383 №-ში 1927 წ. იანვრის 20.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

10. დადგენილება ს. კ. ს.

უნივერსიტეტებისა, ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის საპრაქტიკო ადგილების, ხოლო აღნიშნულ სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთათვის სტაჟის გასასვლელი ადგილების მიმცემი საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—„უნივერსიტეტებისა, ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის საპრაქტიკო ადგილებისა, ხოლო აღნიშნულ სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთათვის სტაჟის გასასვლელი ადგილების მიცემის წესის შესახებ"—1926 წ. ივნისის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-11 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 24 №-რი, მუხ. 320)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ შრომის სახ. კომისარიატთან საუწყებათაშორისო კომისია პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გასანაწილებლად. კომისიაში შევლენ შემდეგ დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი, რკინის გზის სამმართველოსი, ფინანსთა, განათლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატებისა. საუწყებათაშორისო კომისიას თავმჯდომარეობს შრომის სახ. კომისარი.

აღნიშნულ კომისიას დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს, განსაკუთრებული ინსტრუქციის საფუძველზე, საკითხები უნივერსიტეტებისა, ინსტიტუტებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთათვის საპრაქტიკო ადგილებისა, ხოლო აღნიშნულ სასწავლებლების სრულ კურსდამთავრებულ პირთათვის—სტაჟის გასასვლელი ადგილების მიცემის წესის შესახებ;

ბ) განსაზღვროს საქართველოს სსრ დაწესებულებათა და საწარმოთათვის საპრაქტიკო და სასტაჟო ადგილების რიცხვი;

გ) აღნუსხოს ის პირნი, რომელნიც პრაქტიკისა და სტაჟის გასავლელად უნდა გაიგზავნენ;

დ) განიხილოს შეუთანხმებლობა განათლების სახალხო კომისარიატისა და სხვა დაინტერესებულ საწარმოთა და დაწესებულებათა შორის პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გაგზავნის გამო;

ე) აღნუსხოს რესპუბლიკის მასშტაბით პრაქტიკისა და სტაჟერობის განხორციელებისათვის წარმოებული მუშაობა და წარუდგინოს სათანადო ორგანოებს ანგარიში;

ვ) შეასრულოს სათანადო ცენტრალური ორგანოების დავალებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 9.
ტფილისი—სასახლე.

---

11. დადგენილება ს. კ. ს-.

იმ კანონების შესახებ, რომელთაც ძალა ეკარგებათ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა საჯარო ანგარიშგების წესები“-ს სამოქმედოდ შემოღების გამო.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა საჯარო ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ 1926 წლის აგვისტოს 24-ს თარიღით გამოცემული (კან. კრ. 1926 წ. მე-60 №-რი, მუხ. 451) დადგენილების 1-ლი და მე-3 მუხ. თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 27-ის დადგენილება „საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ საანგარიშო მასალის გამოქვეყნების წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. მე-7 №-რი, მუხ. 50).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დადგენილება ესე ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სამოქმედოდ შემოღებულ იქნება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 24-ს დადგენილება—„საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა საჯარო ანგარიშგების წესების შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. № 60, მუხ. 451).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

12. დადგენილება ს. ძ. ს.

ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისიების შესახებ—გ. წლის ოქტომბრის 18-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისია ამ სფეროში საქართველოს სსრ უწყებათა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაერთიანებისათვის.

2. კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისროს ა|კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში, ხოლო წევრებად დანიშნულ იქნენ შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: სამი—ა|კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოსი; სამი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი; სამი—ცეკავშირისა, ერთი—საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის; ერთი—საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა; ერთი—საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ერთიც ტფილისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა.

შენიშვნა. ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისიის წევრებს დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო სათანადო ორგანიზაციების წარდგენით.

3. ცალობითი ფასების შემმცირებელი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელმძღვანელობა და ზედამხედველობის გაწევა დაეკისრება ა|კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 4.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დადგენილება ს. კ. ს.

უწყებათა გამომცემლობის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 30-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 52 №-რი, მუხ. 388) 6 მუხლის შესასრულებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი გამომცემლობა, რაც საქართველოს სსრ რესპუბლიკანურ ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასთან არსებობს (უწყებათა გამომცემლობანი), უნდა მოქმედებდეს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე (განსაზღვრული წესით დამტკიცებული წესდების თანახმად).

2. კრედიტი დაწესებულებასთან არსებული გამომცემლობისათვის 1926-27 წლიდან შეიტანება ამ დაწესებულების ხარჯთაღრიცხვაში იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნება მომავალი წლისათვის ნავარაუდევი საგამომცემლო დეფიციტის დასაფარავად, მაგრამ ამასთანავე დაწესებულება ვალდებულია წარადგინოს ამომწურველი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ დეფიციტი აუცილებელია და მისი თავიდან აცილება არ შეიძლება კომერციული შემოსავლის გადიდებით ან გამომცემლობის შეზღუდვით.

3. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოსთან არსებული გამომცემლობის ხარჯთაღრიცხვა გამოყოფილ უნდა იქნეს სათანადო საწარმოს ხარჯთაღრიცხვის ცალკე დამოუკიდებელ ნაწილად.

4. 1 და 3 მუხლში აღნიშნულ გამომცემლობას უფლება აქვს გამოუშვას მხოლოდ ისეთი გამოცემა, რაც შეტანილია სათანადო სახალხო კომისარიატის ან დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვის მქონე ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ სიაში.

5. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაევალება სათანადო უწყების ხელმძღვანელს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულების მიმართ აგრეთვე—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

14. დადგენილება ს. კ. ს.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ცალობითი ფასების შესამცირებლად მისაღებ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მეთვალყურეობის დაკისრების შესახებ.

შინა ბაზარზე ფასების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა და განკარგულებათა და ცალობითი ფასების შესამცირებლად მისაღებ ღონისძიებათა ადგილობრივ განხორციელებისათვის ზედამხედველობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეთვალყურეობის დაწესების მიზნით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა ადგილობრივ (სამაზრო, საქალაქო და სათემო) აღმასრულებელ კომიტეტს—დააკისროს აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს—თვალყური ადევნოს ყველა სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ—შინა ბაზარზე ფასების მოწესრიგების სფეროში ყოველი კანონისა და აგრეთვე ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების ყოველი დადგენილების შესრულება.

2. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებამოსილი წევრი თვალყურს ადევნებს მთავრობის მიერ ფასების მოწესრიგების სფეროში გამოცემულ კანონთა და დადგენილებათა განხორციელებას მთლად მაზრის ტერიტორიაზე და თანაც ინსტრუქტიობასა და ზედამხედველობას უწევს სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ რწმუნებამოსილ პირთ ამავე მოვალეობის განხორციელებას სათანადო ტერიტორიაზე.

3. უკეთუ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული პირი აღმოაჩენს ფასების მოწესრიგებისათვის მთავრობის მიერ გამოცემულ კანონთა და განკარგულებათა დარღვევას, იგი დამნაშავეს პასუხისგებაში მისცემს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 145 მუხლის თანახმად ან ადმინისტრატიულის წესით—საამისოდ არსებული წესების თანახმად.

4. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთი მოქმედება სავაჭრო სადგომებისათვის საიჯარო ფასის დაწესების საკითხების სფეროში შეუთანხმონ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

5. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს ამა დადგენილების განხორციელებას და, შინ-ავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამავე დადგენილების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 12.
ტფილისი—სასახლე.

---

15. დადგენილება ს. კ. ს.

ქალაქებისა, კურორტებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, შენობებისა და ნაგებობისა, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის კონკურსის გამოცხადების წესების დამტკიცების შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობის საქმე მოწესრიგებულ იქნეს და ნაგებობათა მხატვრული სახე გაუმჯობესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ქვემოაღნიშნული წესები ქალაქებისა, კურორტებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, შენობებისა და ნაგებობის, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ.

წ ე ს ე ბ ი

ქალაქებისა, კურორტებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, შენობებისა და ნაგებობისა, ძეგლებისა და პლასტიურ ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ.

1. ყოველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი (კოოპერატიული, პროფკავშირული და სხვ.) დაწესებულება და ორგანიზაცია ქალაქებისა, კურორტებისა, დიდი სოფლებისა (ქალაქის ტიპის) დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, ბაღებისა და პარკებისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობებისა და ნაგებობისა, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის გამოაცხადებს კონკურსს.

შენიშვნა. ამა მუხლში გათვალისწინებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობები აღინიშნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირთან განსაკუთრებულ ინსტრუქციაში.

2. ყოველი კონკურსის გამოცხადების წინასწარ შედგენილ უნდა იქნეს ჟიური, რომლის მონაწილეობა კონკურსის პროგრამის შემუშავებაში სავალდებულოა.

3. კონკურსის პროგრამა შემუშავდება და კონკურსი გამოცხადდება თანახმად ინსტრუქციისა, რასაც დაამტკიცებს სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭო და გამოაქვეყნებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირთან არსებული საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი.

4. ყოველი კონკუ-სის შემუშავებულ პროგრამას წინასწარ განიხილავს და დაამტკიცებს საალმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან არსებული სამხატვრო-საარქიტექტურო საბჭო.

5. ამა წესდების დარღვევა თანამდებობის პირის მიერ გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას, რაც თანამდებობრივ (სამსახურებრივ) დანაშაულს შეეხება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 1463—5414. მთავლიტი 706. ტირაჟი—1.500.